29/01/2021

ე.წ. მთაშავეთის (მონტენეგრო) ეკლესია არ წარმოადგენს ეკლესიას – იერუსალიმის პატრიარქი

პატრიარქი თეოფილე მიიჩნევს, რომ მთაშავეთში სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთადერთ კანონიკურ ეკლესიას წარმოადგენს მთაშავეთისა და ზღვისპირეთის მიტროპოლია. 2021 წლის 26 იანვარს, პატრიარქი თეოფილე ინტერვიუში, რომელიც მან მისცა ბელგრადის გამომცემლობას “Kurir”, პასუხობდა კითხვას ე. წ. „მონტენეგროს მართლმადიდებელი ეკლესიის“ შესახებ და ამბობს, რომ არ თვლის ამ რელიგიურ სტრუქტურას ეკლესიად.

ე. წ. „მონტენეგროს მართლმადიდებელ ეკლესიას“ რომელსაც სურს მიიღოს ავტოკეფალია, პატრიარქი თეფილე პასუხობს:

„ჩვენთვის ერთადერთ მართლმადიდებელ ეკლესიას წარმოადგენს მთაშავეთისა და ზღვისპირეთის მიტროპოლია. სხვა დანარჩენი არცერთი მართლმადიდებელი ეკლესია მონტენეგროში არ ფლობს თავის კანონიკურ საფუძველს. ამიტომაც ჩვენ მონტენეგროს მართლმადიდებელ ეკლესიას არ განვიხილავთ არც როგორც კანონიკურად და არც როგორც ეკლესიად. აუცილებელია კიდევ ერთხელ აღინიშნოს, რომ მთაშავეთისა და ზღვისპირეთის მიტროპოლია არის ერთადერთი კანონიკური ეკლესია მონტენეგროში,“ – აღნიშნა პატრიარქმა

— nikodimoscentre.ge